საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაგარა ვასილი იაკობის ძე

გაგარა ვასილი იაკობის ძე, XVII ს. რუსი ვაჭარი. ცხოვრობდა ყაზანში, ვაჭრობდა აღმ. ქვეყნებთან. 1634–37 „ცოდვების მოსანანიებლად“ ეგვიპტესა და პალესტინაში იმოგზაურა, გზად კავკასია გაიარა; იყო თბილისშიც. დაცულია გ-ს „მოგზაურობის“ აღწერილობა. კავკ. ისტორიისათვის საინტერესოა თბილ. მოკლე, მაგრამ მკაფიო აღწერა, ცნობები ეჩმიაძინსა და არარატზე. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, გ-ს „მოგზაურობა“ კომპილაციურია.

თხზ.: Адрианова-Перетц В., Хождение в Иерусалим и Египет Василия Гагары, «Сборник Российской публичной библиотеки», 1924, т. 2, в. 1.

ლიტ.: П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. По Кавказу, Тфл., 1935.